პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 159 (13244) | ხუთშაბათი, 8 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი პატაკები

ყვიდწყლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია თბილისის ბამბის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 26 ტონა ბამბა გამოუშვა.

განვლილ ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა გეგმით გათვალისწინებულს 3,6 პროცენტით გადააჭარბა. მოღებულია ოთხი ტონა ნედლეულის ეკონომია. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითმა დაგროვებამ 20 ათას მანეთს გადააჭარბა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ჰიგროსკოპიული ბამბის საამქროს კომუნისტური შრომის ის ცალა, რომელსაც ა. ძუკაევი უძღვება. ამ ცალამ ექვს თვეში წარმოებას თერთმეტი ტონა ზეგეგმითი ბამბა ჩაბარა. ცალის ქვეოსტატი ვ. დემურია, მუშები შ. ბადიევი, ა. გოგიევა და სხვები ყოველთვიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ და თავიანთი შრომითი წვლილი შეაქვთ ფაბრიკის საერთო წარმატებაში.

მეჩაიეთა სახელისა და ღირსების საქმე

ივლისის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. წლითიწლობით განუხრელად ზრდიან ჩაის ნედლეულის წარმოებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. ამის გამო მათ ზედიზედ, მრავალჯერ დაიმსახურეს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მისალმება.

როცა გადახედავთ შარშანდელ შედეგებს, გული სიხარულით გევსებათ. სახელოვანმა მეჩაიეებმა სამშობლოს მისცეს 185 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 175 ათასი ტონისა. ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა შეუპოვარი შრომით, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, დახმარებითა და მზრუნველობით.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ნიშნავს შეაფერხო შემდგომი წინსვლისა და წარმატების რეზერვების განვითარება, ანგარიში არ გაუწიო მშრომელთა მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადაუდებელ ამოცანებს. ამიტომ ცხოვრების კარნახით რესპუბლიკის მეჩაიეები ყოველთვის ეძებენ გზებსა და საშუალებებს ჩაის ფოთლის პროდუქციის გადიდებისათვის. საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების მსვლელობაში გაიზარდნენ შესანიშნავი პრაქტიკოსები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ. მათი შემოქმედებითი შრომა ასალ წარმატებათა დაუშ ეტელი წყარო გახდა.

ასეთი პატრიოტული მიზნები ამოძრავებთ ჩვენს მეჩაიეებს, და მათ გადაწყვეტილი აქვთ წელსაც მოიპოვონ გამარჯვება და არა მარტო გეგმით გათვალისწინებული 185 ათასი ტონა ჩაის ნედლეული მოკრეფონ, არამედ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებაც. მისცენ ქვეყანას 200 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“. მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის ლამჭრობის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, მეჩაიეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები დგანან. მათ წინაშე დასახულია მეტად პასუხსაგები ამოცანები.

როგორც ცნობილია, ივნისში დამდგარი არახელსაყრელი ამინდის გამო შეჩერდა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია და რესპუბლიკაში ჩამორჩა კრეფის გეგმის შესრულება. 1 ივლისის მდგომარეობით მოკრეფილი იყო 15.103 ტონით ნაკლები, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის, ხოლო 5 ივლისისათვის რესპუბლიკის მეჩაიეები კიდევ 14.299 ტონით ჩამორჩებოდნენ შარშანდელ დონეს. მართალია, ივლისის პირველ ხუთდღიურში ბევრად მეტი მოიკრიფა წინა ხუთდღიურთან შედარებით, მაგრამ კრეფის ტემპი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

ივლისი უნდა გამოვაცხადოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ლაშქრობის დამკვრელურ თვედ. თვითეული დღე, თვითეული საათი გადაწყვეტს წარმატების ბედს. ამოცანა ის არის, რომ ივნისში „დაკარგული“ ჩაის ტონები ივლისში ორმაგად და სამმაგად ავანაზღაუროთ. სხვა გზა არ არსებობს. წარმატება ჯაფითა და ოფლით უნდა მოვიპოვოთ! მით უმეტეს, როცა აგვისტოში მოსალოდნელია ჩაის ფოთლის მოსავლის კლება, სუსტი ვეგეტაცია. ჩაის პლანტაციებში, სადაც შესაძლებელია, უნდა განხორციელდეს რწყვა.

მეტი ჩაისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ათობით და ასობით ნოვატორი მეჩაიეების მაგალითისამებრ მოვაწყოთ მუშაობა. ვიბრძოლოთ თვითეული კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის. ამ საქმეში მასობრივად ჩავაბათ თვითეული სოფლის, კოლმეურნეობის მშრომელთა ფართო მასები. მოსწავლეები. ჩვენმა მუშა-მოსამსახურეებმაც დახმარების ხელი უნდა გაუწოდონ მეჩაიეებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოკრეფილი ჩაის ნედლეულის 96 პროცენტზე მეტს საქართველო იძლევა. ეს გავალებს კვლავ სასახელო საქმეებით გავახაროთ სამშობლო, ავიღოთ ახალი ზღუდეები!

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ივნისში მრავალმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, რაიონმა, ასობით მეჩაიემ ისახელა თავი მეტი ჩაისათვის ბრძოლაში, ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმის, ფუალეტბოს. სამტრედიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეჩაიეთა მუშაობა. მათ ორგანიზებული შრომით. დაძლიეს სიძნელეები და გადაჭარბებით გაანაღდეს ჩაის ფოთლის კრეფის მაისი-ივნისის დავალებანი. ახლა მეჩაიეობის რაიონების წინაშე გადაუდებელი საკითხი დგას: ბადაგიანებ თვეში — ივლისში უზრუნველყონ დასახული გეგმის გადაჭარბებით შესრულება, ხოლო ჩაის მრეწველობის მუშაკებმა ისე იმუშაონ, რომ გამოუშვან მხოლოდ მაღალხარისხოვანი მზა პროდუქცია.

ამ საქმეში სერიოზული ღონისძიებების განხორციელება მოუხდებათ მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, გეგეჭკორის, ფალენჯიხის, ოზამბირის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას და სხვა რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს. მათი წარმატებები გადამწყვეტ როლს შეასრულებს ნაკისრი ვალდებულების განაღდებაში. ამიტომ აუცილებელია დაძაბული ბრძოლა იმისათვის, რომ დავალებას გადამეტებით ასრულებდეს ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი და მეჩაიე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებას. მეცნიერების მუშაკთა მოვალეობაა გააფართოონ თეორიული კვლევა, აამაღლონ მისი დონე და შედეგიანობა, ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის ფართოდ გამოყენებაში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, პრაქტიკოს მუშაკებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მათ პირველად მსოფლიოში შექმნეს და წარმოებაში დანერგეს ჩაის საყრეფი მანქანა „საქართველო“. ახლა ასობით მანქანა კრეფს ჩაის ფოთოლს. მანქანებით ფოთლის კრეფის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს მახარაძის რაიონის ლაითურის, ზუგდიდის რაიონის ინგირის, ბალის რაიონის ანიგვარის. ფალენჯიხის, ჩხოროწყუს, ქობულეთის და სხვა რაიონების საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა. საამაყოა ისიც, რომ გვაქვს ამ მანქანებზე მომუშავე მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები.

მაგრამ ჯერჯერობით ძირითადი გადამწყვეტი მაინც ხელით კრეფაა. ეს საქმე ჩვენს სახელოვან მეჩაიეებზეა მინდობილი. საყოველთაოდ ცნობილი ნოვატორების — ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ზუგდიდელ თამარ ყუფუნიას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მახარაძელ ტატიანა ჩხაიძის, ზინა ბაჯელიძის, ლეილა მაღულარიას, ნარა გოგბატაძის, ცხაკაელ ტატიანა ტყეშელიანის, ფალტუბოელ ოლია უშვერიძისა და სხვების გამოცდილება ასობით და ათასობით მეჩაიის კუთვნილება გახდა.

იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მოწოდების სიმაღლეზე დგანან, წარმატებაც არის. ისინი არა მარტო გეგმების შესრულებისათვის ზრუნავენ, არამედ ყოველი ღონისძიებით ცდილობენ გმირ მეჩაიეებს შეუქმნან კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. ამავე დროს ორგანიზებულად მოაწყონ საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მეჩაიეთა კულტურული მომსახურება. ასეა ზუგდიდის რაიონის ჭალდიერში კომუნისტური შრომის კოლმეურნეობაში, ბათუმის რაიონის სოფელ მახოს, მახარაძის რაიონის ნატანების, ძიმითის, ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის და სხვა კოლმეურნეობებში. აქ კომუნისტები ყოველთვის წინა ხაზზე დგანან. სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესების ღონისძიებათა სწორად განხორციელებას.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის მომდინარეობა დამაფიქრებელია. 5 ივლისისათვის სულ მოკრეფილი იყო 84.031 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 45.4 პროცენტს შეადგენს. აქედან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. მთელი ძალები, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ დასახული ამოცანების განხორციელებას.

მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ჩაის ფოთოლი იკრიფებოდეს ყოველდღიურად, განუწყვეტლივ ყოველგვარ ამინდში.

ამხანაგო მეჩაიეებო! ფართოდ გაიჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება თვითეული კილოგრამი ჩაის ფოთლისათვის, არ დაუშვათ დანაკარგები. სამშობლო თქვენგან ახალ საგმირო საქმეებს მოელის!

ტემპი ძლიერდება

480 ტონა. სასახელოდ მუშაობენ და ყოველდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს ბობოყვათის, ქაქუთის, ალამბრის, ხალის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ლანჩხუთი. (ტელეფონით სპეც. კორ.). პლანტაციებში ადრე დილიდან გვიან საღამამდე იკრიფება ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილი 4462 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 44,6 პროცენტს შეადგენს.

ივლისში გაძლიერდება მუშაობის ტემპი. გუშინდელი დღის ჩათვლით მოკრეფილ 296 ტონას „მწვანე ოქრო“. შარშან ამ დროსათვის მოკრეფილი იყო 203 ტონა ფოთოლი. მარტო გუშინწინ მოიკრიფა 77,5 ტონა, ხოლო გუშინ — 80 ტონა ჩაის ნედლეული.

პირველობისათვის იბრძვიან ნიგვზიანის, ახალსოფლის, ღრმაღელის, გულიანისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. ლანჩხუთელ მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა შეასრულონ ვადაზე 7 დღით ადრე.

200.000 ტონა ჩაისათვის!

კობულეთი. (ტელეფონით სპეც. კორ.). უკანასკნელ დღეებში მოსულმა წვიმებმა საგრძნობლად დაჩქარა ფოთლის ვეგეტაცია. ახლა ქობულეთელი მეჩაიეები ყოველდღე აძლიერებენ „მწვანე ოქროს“ კრეფის ტემპს. გუშინწინ რაიონში მოიკრიფა 200 ტონა ფოთოლი, ხოლო გუშინ — 210 ტონა. სულ სეზონის დაწყებიდან მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 11.805 ტონა ჩაის ნედლეული.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ჩაისუბნის კოლმეურნეობის წევრები. აქაურმა კოლმეურნეებმა უკვე მოკრიფეს 385 ტონაზე მეტი ფოთოლი. წლიური გეგმით მოსაკრეფი აქვთ 480 ტონა. სასახელოდ მუშაობენ და ყოველდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს ბობოყვათის, ქაქუთის, ალამბრის, ხალის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ლანჩხუთი. (ტელეფონით სპეც. კორ.). პლანტაციებში ადრე დილიდან გვიან საღამამდე იკრიფება ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილი 4462 ტონა ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 44,6 პროცენტს შეადგენს.

ლიდ წარმატებას აღწევს მეჩაიე ლამარა ფეტელავა (სურათზე მარცხნივ), იგი მუშაობს ზუგდიდის რაიონის ასალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მოსავლად მიჩნეულ 0,3 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.600 კილოგრამისა. ახლა კომკავშირელი ლამარა ფეტელავა იმისათვის იბრძვის, რომ სეზონში კიდევ მოკრიფოს 4.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

დილიდან დაღამებამდე ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ჩხოროწყუს რაიონი) განუწყვეტლივ ისმის ჩაის საკრეფი მანქანების მოტორების გუგუნი. ახლა, გაცხარებული კრეფის პერიოდში, მეურნეობაში მუშაობს ცხრა ჩაისსაკრეფი მანქანა „საქართველო“ და თვითეული მანქანით კრეფის დღიური დავალება გადაჭარბებით სრულდება.

შუა სურათზე აღბეჭდილია ჩაის ფოთლის კრეფა მანქანებით ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობაში.

სურათზე მარჯვნივ თქვენ ხედავთ ჩაის ფოთლის კრეფას გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობაში. ფოთოლს კრეფს მოწინავე მეჩაიე ლამარა ჯორკავა.

ფოტო ბ. სოკოლოვისა და ი. ნანიკაშვილისა (საქდესის ფოტოკორონიკა).



საერთაშორისო ბანკის საბჭოს სხდომა

1965 წლის 6-7 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის საბჭოს — ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოს მორიგი (მერვე) სხდომა.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა დოქტორი ო. პოლი — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ბანკის საბჭოში.

საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. სხდომამ განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის საანგარიშსწორებო-საკრედიტო ოპერაციების წარმოებასთან, და მიიღო გადაწყვეტილებანი ბანკის საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. (საკდესი).

სომალელი პარლამენტარები მოსკოვში

მოსკოვი. 7 ივლისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სომალის რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს, ეროვნული კრების თავმჯდომარე აჰმედ მოჰამედ აბსეიჰი.

სომალელი პარლამენტარები საბჭოთა კავშირში ორ კვირას დაჰყოფენ. ისინი ეწვევიან კიენინგსს, ლენინგრადს, ალმა-ატასა და ყაზანს.

ტურბინები გაიგზავნა ლიხტერით

ლენინგრადი. 6 ივლისი. (საკდესი). დღეს ნევაზე დაიწყო მოფლიოში უდიდესი ენერგეტიკული მანქანების უპრეცედენტო მოგზაურობა. აქედან გავიდა ლიხტერი „ლოდა“, რომლის ტრიუმებში ხის „საწოლებზე“ დადგმულია ორი ჰიდრავლიკური ტურბინის მუშა თვლები. თითოეული ტურბინის სიმძლავრე 508 ათასი კილოვატია. ისინი სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხანამ დამზადა კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის.

„ლოდამ“ უნდა გაიაროს ექვსი ათასი კილომეტრი. მისი გზაა ლადოგის ტბა, სვირი, ონეგის ტბა, თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხი, თეთრი, ბარენცისა და კარის ზღვები. ენისეის მნიშვნელოვანი ნაწილი სადგურის სამშენებლო მოედანამდე.

კომბინირებული წყალსატრანსპორტო ოპერაცია „კრასნოიარსკის ტურბინები“ დაახლოებით 40 დღე-ღამეს გასტანს. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ვითარება იქნება ჩრდილოეთის უინულოვანი ოკეანის გზაზე, ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებს ატომური უინულმჭრელი „ლენინი“.

მეოთხე მგრუნავი ღუმელი

ულიანოვსკი ნოვოულიანოვსკის ცემენტის ქარხანაში მწყობრში ჩადგა მეოთხე მბრუნავი ღუმელი, რომლის მწარმოებლობა საათში 48 ტონა კლინკერს უდრის. ამ ღუმელის ამუშავებით ქარხნის სიმძლავრე წელიწადში რამდენიმე მილიონი ტონა ცემენტით გაიზარდა. იქვე იქმნება სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა კომპლექსი. უკვე ამუშავებულია რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პირველი რიგი, შენდება შიფერის ქარხანა. გეოლოგებმა დაამთავრეს ნედლეულის მარაგის დაზვერვა. (საკდესი).

ჩვენს დიად საუბარზე

ქამბოჯელი სტუმარი აღფრთოვანებულია

„საქართველოში გულთბილი მასპინძლობა გამიწიეს. ვისაც კი შევხვდი, ყველა მეგობრულად მექცეოდა“, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ქამბოჯის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ უნგ. მუნგმა.

საქართველოში ყოფნის დროს ქამბოჯის სახელმწიფო მოღვაწე გაეცნო რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას, მის ღირსშესანიშნაკ ადგილებს, ესაუბრა ოფიციალურ პირებს.

გამოცა მშენებლობის უდიდესმა მასშტაბმა — თქვა შემდეგ ბატონმა მუნგმა.

უნგ მუნგმა აღნიშნა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო წარმატებანი მეცნიერების განვითარებაში, კოსმოსის ათვისებასა და ხელოვნების აყვავებაში. „ყველაფერი, რაც ვნახე მოწმობს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ყოველდღიურ უწყობს ხელს მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა კულტურის განვითარებას“.

საუბრის დასასრულს უნგ მუნგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ადამიანები გაგებით ეკიდებიან კამბოჯის წინაშე დასახულ პრობლემებს.

7 ივლისს კამბოჯის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე უნგ მუნგი მეუღლითურთ მოსკოვს წავიდა. (საქდესი).

გაკეთებულია ცაკიკეთში

დუშანბე, 6 ივლისი. (საკდესი). დღეს ტაჯიკეთიდან თურქმენეთში გაიგზავნა ორასამდე საყოფაცხოვრებო მაცივარი „პამირი“. ამით მთის რესპუბლიკის მრეწველობამ დაიწყო კიდევ ერთი სახეობის პროდუქციის მიწოდება საკავშირო ბაზრისათვის. ახლა ტაჯიკეთი საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს უგზავნის საქსოვ ავტომატებს, ტრანსფორმატორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ელექტროსადენს და სხვა საქონელს, რომელთა წარმოება მაღალკვალიფიციურ შრომას მოითხოვს. ახლა რესპუბლიკაში შენდება ორმოცდაათზე მეტი ახალი საწარმო.

ბელორუსიის ახალი ინსტიტუტები

მინსკი. ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა ვიტებსკში — ბელორუსიის დიდ სამრეწველო ცენტრში, მომამზადებს მსუბუქი მრეწველობის ინჟინრებს. ეს რესპუბლიკის 27-ე უმაღლესი სასწავლებელია. უმაღლეაი სასწავლებლების ქსელი სწრაფად იზრდება. შენდება ექვსი ინსტიტუტის კორპუსები. მათ შორის რადიოტექნიკური, მანქანათმშენებლობისა, სამშენებლო საინჟინრო ინსტიტუტებისა.

10 ათას სულ მოსახლეზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობით ბელორუსიამ გაუსწრო ინგლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, საფრანგეთსა და იტალიას. (საკდესი).

„საბჭოთა რუსეთი“ ოქროს რქაში

ვლადივოსტოკი. ოქროს რქის ყურეში რეწვიდან დაბრუნდა ვეშაპსანადირო ფლოტილია „საბჭოთა რუსეთი“. შორეულ აღმოსავლეთის ვეშაპმონადირეები ანტარქტიკისა და წყნარი ოკეანის წყლებში რვა თვეზე მეტ ხანს აწარმოებდნენ ზღვის გოლიათების რეწვას. ვეშაპების ჭერის გეგმა შესრულებულია წარმატებით.

ვლადივოსტოკელებმა ვეშაპმონადირეებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს.

რესპუბლიკის საწარმოებში

კვლავ პირველ ადგილზე

ბიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს ბიათურის სტამბის კოლექტივი (დირექტორი ჯ. თოდრია, პარტორგანიზაციის მდივანი ლ. მუმლაძე), რომელმაც გასული წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებლებით რესპუბლიკაში პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მოიპოვა.

სტამბის კოლექტივი წელს უკეთ მუშაობს. პირველი კვარტალის დავალება 180 პროცენტით შესრულა, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 12.800 მანეთი შეადგინა. შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების ყველა მუხლი გადაჭარბებით შესრულდა.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა პირველი კვარტალის მაჩვენებლებით ჰიათურის სტამბას კვლავ პირველი ადგილი და ფულადი პრემია მიაკუთვნეს, დაუტოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

პოლიგრაფისტებში ამ ცნობამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

... ...

... ...

... ...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ზუსტად შეასრულოთ კანონი

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის მოხსენება, თუ როგორ სრულდება 1958 წლის 18 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ".

პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ კანონმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკის ბუნების სიმდიდრეთა მოვლაში, დაცვასა და რაციონალურ გამოყენებაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტყეების, სასარგებლო ფაუნის, წყლის რესურსების მოვლა, დაცვა და გამოყენება. რესპუბლიკის ბევრ რაიონში შემცირდა ტყის თვითნებურად გაჩეხვის შემთხვევები, არაორგანიზებული და გამაჩანაგებელი ნადირობა სასარგებლო ფრინველებსა და ცხოველებზე. მტკიცე ბრძოლა წარმოებს თევზის რესურსების შემდგომი გადიდებისათვის, თევზის გაჩანაგებისა და უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ.

მაგრამ, როგორც პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, არის ნაკლოვანებანიც ბუნებრივ სიმდიდრეთა მოვლის, დაცვისა და ეფექტიანი გამოყენების საქმეში.

რესპუბლიკაში 500 ათასამდე ჰექტარი ტყის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია იმის გამო, რომ წარსულში უსისტემოდ უწევდნენ ექსპლოატაციას. სამხრეთ ოსეთის, აჭარის მთელ, რიგ რაიონებში, აგრეთვე გორის, კასპის, საგარეჯოს, გურჯაანის და სხვა რაონებში იმის გამო, რომ წარსულში გაუარესდა ტყეების საერთო მდგომარეობა, ხშირია წყალდიდობა, მეწყერი, ეროზია და სხვა სტიქიური მოვლენები, რაც ზიანს აყენებს მეურნეობას. რესპუბლიკა წელიწადში ნაკლებ მერქანს იყენებს, ვიდრე ტყის კაფვის გეგმით არის გათვალისწინებული, რადგან არა გვაქვს საექსპლოატაციო ტყის მასივებთან მისასვლელი გზები. ცუდად არის აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის საქმე. იმის გამო, რომ საკმარისი არ არის შეშა, სამასალე მერქანი და ხე-ტყის სხვა პროდუქცია, არის ხლმე ტყეების, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ტყეების თვითნებურად გაჩეხვის შემთხვევები. დღემდე არ არის შემუშავებული ნაძვის ლაფნეჭამიასა და სხვა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებანი.

სასამართლოსა და მილიციის ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ბრძოლას ტყის თვითნებური გაჩეხვის წინააღმდეგ, აჭიანურებენ იმ საქმეთა გარჩევას, რომლებიც სატყეო მეურნეობის ორგანოებმა გადასცეს. აღნიშნულ საქმეებს ნაკლებად უწევს ზედამხედველობას პროკურატურა.

სერიოზული ნაკლოვანებანია სასარგებლო ფაუნის დაცვისა და გამრავლების საქმეში. აღმოფხვრილი არ არის შემთხვევები, როცა არღვევენ ნადირობის ვადებსა და წესებს, ზოჯერ კი აჩანაგებენ სასარგებლო ფრინველებსა და ცხოველებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მუდმივი კომისიები, აღმასრულებელი კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ბუნებრივი რესურსების მოვლას, დაცვასა და გაფართოებას. მათ ჯერ კიდევ ვერ ჩაუბეს ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში დეპუტატები, მუდმივი კომისიები, მოსახლეობის ფართო მასები, ვერ შექმნეს საზოგადოებრივი აზრი ბუნების დაცვის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებსა და მათს აღმასკომებს დროულად იღონონ ყველაფერი და უზრუნველყონ ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოვლა, გაფართოება და რაციონალური გამოყენება, მიიღონ მკაცრი ზომები იმ პირთა და ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბუნების დაცვის კანონებსა და ნორმებს, სათანადო დახმარება გაუწიონ სატყეო მეურნეობის ორგანოებს ტყის კულტურების გაშენებასა და მოვლაში.

იმ მიზნით, რომ საქართველოს ტყეები ასრულებდეს ნიადაგსაცავ, ტყესაცავ, საკურორტო და სხვა სასარგებლო ფუნქციებს, კიდევ უფრო გაძლიერდეს ეს ფუნქციები და მოეწყოს რაციონალური სატყეო მეურნეობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს ევალება მომავალშიც შეზღუდოს მერქნის გამოყენების ოდენობა საექსპლოატაციოდ განკუთვნილი ტყის მასივების მერქნის საშუალო წლიური მატების ფარგლებში. ეს უნდა მოხდეს ისე, რომ ტყის გამოყენებას ხახგრძლივი პერიოდის განმავლობაში განუწყვეტელი და უფრო თანაბარი ხასიათი ჰქონდეს. მერქანი უნდა გამოიყენოთ საექსპლოატაციო ტყესაკაფების მთელ ფართობზე, უნდა მოვერიდოთ რომელიმე მონაკვეთის გამეჩხერებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდი, ხისდასამუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის სატყეო ინსტიტუტს დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს, რომ განახორციელოს ტყის განახლების სამუშაოები გამეჩხერებულ ტყის მასივებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი მინდორსაცავი სატყეო ზოლების გაშენებისათვის და უზრუნველყოს მათი მოვლა; საკოლმეურნეო ტყეების მოვლაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყოს სპეციალისტთა შესაბამისი კადრების შერჩევა და გაგზავნა ადგილებზე, რათა რაციონალურად წარმართონ სატყეო მეურნეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს, საზოგადოება „ბუნების მეგობრის" რესპუბლიკურ საბჭოს, საზოგადოება „მონკაფშირის" რესპუბლიკურ საბჭოს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიას ევალებათ უზრუნველყოს სასარგებლო ფაუნაზე ნადირობის წესებისა და ვადების ზუსტად შესრულება, აგრეთვე ნადირობის წლიური გეგმების დროზე შესრულება; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ორგანიზებულ ნადირობას მავნე მტაცებელ ცხოველებზე; დროულად განახორციელონ ყველა ბიოტექნიკური ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ სასარგებლო ფაუნის დაცვას, სანადირო ფონდის გადიდებასა და რაციონალურ გამოყენებას; შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ ბრაკონიერობას.

საქართველოს სსრ თევზის დაცვის სამმართველოს ევალება შეურიგებელი ბრძოლა აწარმოოს თევზჭერის ისეთი შეუწყნარებელი წესების წინააღმდეგ, როცა იყენებენ ქიმიურ მომწამლელ და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. მკაცრად უნდა დაისაჯოს ისინი, ვინც უხეშად არღვევს თევზჭერის ნორმებსა და წესებს, უნდა განხორციელდეს თევზის მოშენებისა და თევზის რესურსების რაციონალურად გამოყენების ქმედითი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ პროკურორს, უმაღლეს სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ევალებათ მიიღონ გადამწყვეტი ზომები იმათ მიმართ, ვინც არღვევს კანონს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ, აღკვეთონ გადაცემულ საქმეთა გარჩევის გაჭიანურება ზოგიერთი დამრღვევის საქმე გაარჩიონ გამსვლელ სესიებზე.

რესპუბლიკური ეურნალ-გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გააძლიერონ პროპაგანდა ბუნების დაცვის საკითხებზე; ამ მუშაობაში ჩაბან მეცნიერები, მწერლები, სპეციალისტები და მშრომელთა ფართო აქტივი. (საქდესი).

ნარმოების ყველა უბანზე სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლა თბილისის ინსტრუმენტალური ქარხნის კოლექტივის მნიშვნელოვანი ზრუნვის საგანია. სწორედ ამ მიზნით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საამქროებსა და ბრიგადებს შორის. ქარხანაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. სისუფთავე და წესრიგი, რომელიც აქ სუფევს, ნარმოების მაღალ კულტურას მოწმობს. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც სისტემატურად ამოწმებს ცალკეულ საამქროებსა და ბრიგადებში სისუფთავის დაცვასა და კეთილმოწყობის მდგომარეობას.

სურათზე: კომისიის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ინჟინერ-ტექნიკოსები ც. მაკარაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი შ. [illegible], უფროსი [illegible] ბერგოშაძე და წარმმდებელი ლ. აგლაძე ამოწმებენ ლითონის დასამუშავებელი საკრისების დამამზადებელ უბანს, რომელმაც ინვირში [illegible] სისუფთავისა და კეთილმოწყობისათვის ბრძოლაში პირველი [illegible].

ფოტო ს. კილაძისა.

სასკოლო მშენებლობა სახალხო საქმეა

ჯავრნარევი სიხარული

მთავრდება ძეგვის (მცხეთის რაიონი) საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელსაც საერო-რკველი ჩაეყარა შარშან გაზაფხულზე. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მშენებლებმა ცუდად როდი იმუშავეს, შენობის ყველა დეტალს ეტყობა ადამიანთა პროფესიული ოსტატობა და მონდომება. მეხუთე საამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს, ახალგაზრდა ინჟინერს ზ. ქინქლაძეს ცოდნა და ენერგია არ დაუშურებია, რომ მშენებლობა ვადაზე ადრე და ხარისხოვნად დამთავრებულიყო. ახლა ამ ორსართულიან ლამაზ შენობაში უკანასკნელად ფუსფუსებენ, ამაგრებენ ფანჯრის შუშებს, ღებავენ იატაკს, ასწორებენ მოასფალტებულ ბილიკებს.

მშვენიერი სანახავია ფართო და ნათელი საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სასპორტო დარბაზი. მზად არის ცენტრალური გათბობის მოწყობილობა, ელექტროგაყვანილობა. უფროსი მექანიკოსი ა. გვახცელაძე ერთხელ კიდევ გულდასმით ამოწმებს წყალსადენს.

დიდია სიხარული, მაგრამ სამწუხაროდ, მასში ჯავრიც არის გარეული. რატომ?

იმიტომ, რომ სკოლის ვრცელი ეზო შემოუღობავია. როგორც საძეძენებლო საამქროთველოს უფროსმა ვ. ღოღობერიძემ გვითხრა, არც პროექტით და არც ხარჯთაღრიცხვით ეზოს შემოღობვა გათვალისწინებული არ ყოფილა. საეჭვოა, რომ ვიხმეტ თავისი ინიციატივით გაკეთოს იგი. გამოდის, რომ ახალი სკოლის ეზოში თავისუფლად იკლიკ პირუტყვი, ძოსწავლეულს საშუალება არ ეძლებათ მოაწყოს საცდელი ნაკვეთი.

შემფოთებას იწვევს სასმელი წყლის საკითხი. მართალია, სკოლის ეზოში დადგმულია ერთი ონკანი, რომელიც ჭის წყლით იკვებება, მაგრამ, როგორც საქმეები ჩანდულა. ადამიანები ამბობენ, ასეთი მცირე დებიტი ვერ დააკმაყოფილებს სკოლას და, მეორეს, ეს წყალი სასმელად უვარგისია. ეს მაშინ, როცა სკოლიდან დაახლოებით ექვსი კილომეტრზე, ნეკოროძულს ნეობამი ბადეძინერ-ჩუფეს ანკარა წყაროების მძლავრი ნაკადი.

საწყენია, რომ შენობის მეორე სართულიდან დაგებულია ხის იატაკი, რომელიც დიდხანაა ვეღ გაუძლებია დატვირთვას, უკვე შესამჩნევია იატაკის თხელი ფიცრეთის დეფორმაცია. ეტყობა, მშენელებს არ ეთმინა მესაფერი მასალა. სხვანაირად რით ავხსნათ ეს გარემოება?

როცა ამას ვწერთ, სრული იმედი გვაქვს, რომ სათანადო ორგანოები გაითვალისწინებენ ამ ძეძინშენებს და ყველაფერს გააკეთებენ, რათა სკოლა ყოველმხრივ ძნად ეხეკვდეს ახალ სასწავლო წელს.

გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგო ძეგვის საშუალო სკოლის ა ეიელმობაზე: მასწავლებლები ს. ტაბაბაძე და ბ. რთველაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე ა. ოვაშვილი, გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ა. თოიმაძე.

შეხვედრები ოგბადასდილებთან

ტყიბულის დასავლეთი შახტის მუშათა კლუბში მოეწყო ძეხვედრა დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან.

შეხვედრა მესავალი სიტყვით გახსნა შახტის პარტიულთა ძდივახსა ტ. გაბრიელიძემ. ომსსეხება თეძაზე „დიდი გამარჯვებია 20 წელი" გააკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. გიორგოძიანმა. საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ გარიბალდელი პარტიზანი გ. მიქიაშვილი, თვრამეტი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერი დ. გოცირიძე, ა. ხუციშვილი და სხვები.

დასასრულ მოსწავლეთა თვითთოქმედი კოლექტივის ძალებით გაიმართა კონცერტი.

გ. გეწაძე.

ეცნობიან მოწინავეთა გამოცდილებას

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამოდის კედლის გაზეთი „რაციონალიზატორ ი იზობრეტატელ", რომელიც ფართოდ ამუქებს მოწინავე რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოღვაწეობის ამსახველ მასალებს.

„მიღებულია, დანერგილია, განხორციელებულია" — ასე ჰქვია გაზეთის ერთერთ რუბრიკას, რომელიც მკითხველს აცნობს ყველაზე სრულფასოვან და საინტერესო რაციონალიზატორულ წინადადებებს.

ნ. სკაკვინსკაია.

რით არის ცნობილი თქვენი სოფელი?

სოფლის ჯილდო

დავაფესოთ ვიმპელები და სიგელები მოწინავე ბრიგადების, რგოლებისა და კოლმეურნეებისათვის

ბერთა ქართლის ვაკეზე ვართ დამკვიდრებულნი. ჩვენს სოფელს ტყვიავი ჰქვია. იგი გორის რაიონში ერთ-ერთ მოწინავე სოფლად ითვლება.

ხეხილმა უკვე დაიყვავილა. ყურძენიც დაიმეგენა, მინდვრებში კი უკვე დათავთავებული ყანები მოგეხიბლავთ, ზოგან მკაც დაიწყო.

ჩვენი ცისა და მიწის სილამაზეს ბავშვობიდანვე ვართ შესისხლხორცებული, უამისოდ არსებობა ვერ წარმოგვიდგენია. გვიყვარს დიდი მიწის ეს პატარა ნაწილი — ტყვიავი. აქ წინაპრები ბრძოლითა და შრომით გულს ოხტებდნენ, ოროველას და მრავალუამიერს მღეროდნენ. აქ გუთნისდედა ხარის ქედს ლოცავდა და გვიან ღამემდე დაქანცული მეხარის ფრაზა ისმოდა.

ახლა ურემი ვიღას ახსოვს ან ხარის ქედი? ვერ დაითვლით, რამდენი მსუბუქი და სატვირთო მანქანა დაჰქრის ჩვენი სოფლის მოასფალტებულ გზებზე. სოფლის მეურნეობის მანქანების გუგუნმა ხომ აიკლო ტვიავიელთა ზვრები და ხოდაბუნები. ხილით შრომა დაგვიფიყეს ამ დალოცვილებმა. თითქმის ყველაფერს მანქანები აკეთებენ. საკუთარ კარმიდამოში თუ ვიჯერებთ ხოლმე გულს ფიზიკური შრომით.

დღეს ყველა ტვიავიელი გრძნობს, როგორ იზრდება და ლამაზდება ჩვენი სოფელი.

სასოფლო საბჭო საკმაოდ მოზრდილ ორ სოფელს აერთიანებს. მის შემოვლას რამდენიმე დღე სჭირდება.

მას შემდეგ, რაც სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებები გამოქვეყნდა, სოფლის მშრომელები გაბალისდნენ.

ტყვიავის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა და კოლმეურნეთა მჭიდრო კავშირით გასული სამეურნეო წელი ბრწყინვალე მაჩვენებლებით დაამთავრეს სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ და ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენმა შრომამ".

არც წელს გვაქვს ცუდად საქმე. დანაშაული იქნება, რომ წელს უკეთ არ ვიშრომოთ, ვიდრე შარშან, რომ არ ავამოქმედოთ ყველა რეზერვი და პარტიის ზრუნვას თავდადებული შრომით არ ვუპასუხოთ.

ჯერჯერობით ასეც არის. ტყვიაველებს 208 ჰექტარი ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურები უნდა დათესონ. დათესეს 232 ჰექტარი. აქედან სიმინდი 120 ჰექტარის ნაცვლად 160 ჰექტარია დათესილი. 463 ჰექტარი ხეხილის ბაღი საუკეთესოდ არის მოვლილი. ყველა საგაზაფხულო სამუშაო დროზე შევასრულეთ. ახლა ხეხილის ბაღების მეოთხე წამლობა მიმდინარეობს.

არანაკლები ყურადღება ექცევა საზოგადოებრივ მეცხოველეობას. გეგმით უნდა გვყავდეს 430 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ფაქტიურად 548 სული გვყავს. ეს, რა თქმა უნდა, დიდად გვიწყობს ხელს რძის დამზადების გეგმის შესრულებაში.

წინა პლანზეა სოფლის კეთილმოწყობის საქმეც. ფართოდდება და კეთილმოწყობილი ხდება სოფლის შიდასაუბნო გზები. გაკეთდა ბოგირები, მალე ელნათურების ნაცვლად დღის სინათლის ნათურები აკაშკაშდება ტყვიავის ქუჩებში.

ტყვიავი ახლა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სოფელია. თანამედროვე არქიტექტურით ნაგებ კულტურის სახლში 500 კაცი ეტევა. არის აგრეთვე საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღა, რომელიც 100 ბავშვს ემსახურება, ფოსტა-ტელეგრაფი, ბიბლიოთეკა. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საავადმყოფო 50 საწოლით და სხვა დაწესებულებები. მიმდინარეობს კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა, სადაც მოეწყობა საზაფხულო ესტრადა, სპორტული მოედნები და მრავალი გასართობი.

სახე იცვალა სოფელმა ფლავმაც. ახლახან გაიხსნა პოლიკლინიკა, რვაწლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა. მალე დამთავრდება კულტურის სახლი, რომელიც 450 მაყურებელს დაიტევს. ამ დღეებში საეკსლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი ავბანო.

ფლავის მშრომელები ვხედავთ პარტიის მშობლიურ ზრუნვას და მთელი ენერგიით ვშრომობთ კოლმეურნეობის ნაკვეთებსა და ფერმებში, რომ უფრო აიაზარდოს. ამდენდრდეს და გალამაზდეს ჩვენი სოფელი. წელს 227 ჰექტარი სიმინდი დავთესეთ ნაცვლად 220-ისა. 35 ჰექტარზე ბიბინებს შაქრის ჭარხლის ნათესები. დამატებით გავაშენეთ 42 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 25 ჰექტარი ვენახი.

დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. ჯიშთა გაუმჯობესების მიზნით კოლმეურნეობამ შეისყიდა სიმენტალის ჯიშის დეკეულები. მალე დამთავრდება მშენებლობა მეცხოველეობის სადგომისა 150 სულისათვის. დღეს ფლავის კოლმეურნეობას 450-ის ნაცვლად 588 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს. სახელმწიფოს უკვე მივყიდეთ 487 ცენტნერი რძე. კარგი მდგომარეობა გვაქვს ვენახებისა და ბოსტნეულის დამუშავების საქმეშიც.

ასე იზრდება და თანდათან კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი სოფლები. ერთად, მხარდამხარ ვშრომობთ სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა. ჩვენი ურთიერთობა მტკიცეა. ერთად ვიღვწით სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის. სასოფლო საბჭო ფართო მასებს რაზმავს და წინ მიგვიძღვის სოფლის მეტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საყოფაცხოვრებო მუშაობას, მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეობაში ბრიგადების და მეცხოველეობის ფერმების, თვითეული კოლმეურნის, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებების მშრომელთა ხელისს და შრომითს აქტივობას მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ჩვენ ამ ჯილდოს „სოფლის ჯილდო" შეკვარქვით.

„სოფლის ჯილდო" — ვიმპელი დავაარსეთ აგრეთვე ძვიფასი სტუმრებისათვის. კარგად ვიცით, რომ მეგობრობის განმტკიცებისა და მოწონნავე გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩვენს სოფელს ხშირად ესტუმრებიან ხოლმე მშრომელები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან. ძვირფას სტუმარს ჩვენს სოფელში ყოფნის სამახსოვროდ გადავცემთ ვიმპელს, რომელზეც გამოხატულია ჩვენი სოფლის სახე. ვფიქრობთ — „სოფლის ჯილდო" ძვირფასი სამახსოვრო სუვენირი იქნება ჩვენი სტუმრებისათვის.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ ღონისძიებას რესპუბლიკის მშრომელები გამოეხმაურებიან. მიზანშეწონილია მათს გარდამავალ და სამახსოვრო ვიმპელზე გამოსახული იყოს ის ნიშები, რომლებიც განთქმულია მათი სოფელი.

„სოფლის ჯილდომ" დაარსების დღიდანვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ტყვიავის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობების და საწარმო-დაწესებულებების მშრომელებს შორის დაიწყო ბრძოლა „სოფლის ჯილდოს" დასაკუთრებისათვის. ვნახოთ ვის შეხვდება ეს მაღალი ჯილდო!

პ. ჩიხლაძე — გორის რაიონის ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **შ. ეცაძაშვილი** — ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ა. რაზმაძე** — ტყვიავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **დ. რაზმაძე** — ტყვიავის საშუალო სკოლის დირექტორი, **თ. ხაბაზიშვილი** — ტყვიავის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, **ლ. კეცხოველი** — ტყვიავის ღვინის ქარხნის ოსტატი მეღვინე, **ო. თენაძე** — ფლავის კოლმეურნეობის № 2 ბრიგადის ბრიგადირი.





პირველი ნომერი...

რაიონული გაზეთების ფურცლებზე

რედაქციაში ფოსტამ გაზეთების რამდენიმე შეკვრა მოიტანა. ალბათ ახალშექმნილი რაიონული გაზეთების ნომრებია, — გავიფიქრეთ, და გუმანი გაგვიმართლდა. გვესტუმრნენ „პირველი მერცხლები" გაგრიდან, წალენჯიხიდან, ლანჩხუთიდან, სარჩერიდან, ყვარლიდან.

როგორც უკვე ვწერდით, გაზეთების გამოსვლა 1 ივლისს უნდა დაწყებულიყო რესპუბლიკის 26 რაიონში.

პირველი ნომერი, პირველი სიხარული! სათითაოდ ვფურცლავთ და ვრწმუნდებით, რომ მათ შემოქმედთ ძალები არ დაუზოგავთ იმისათვის, რომ მკითხველთათვის კარგი გაზეთი მიეწოდებინათ.

ყველა გაზეთის პირველი ნომერი იხსნება მეთაურით „ჩვენი გაზეთი". მოწინავე წერილები მკითხველს ულოცავენ გაზეთების დაბადებას. მათ ყურადღებას ამახვილებენ ახალი ბეჭდვითი ორგანოების წინაშე მდგომ პასუხსაგებ ამოცანებზე, აღუთქვამენ, რომ რედაქციები მუშა და სოფლის კორესპონდენტების, ფართო აქტივის დახმარებით დაირაზმებიან რაონების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ყველა გაზეთში გამოთქმულია მკითხველთა სურვილები. თავის შიდა ორ გვერდს უთმობს მკითხველთა სურვილებს **ლანჩხუთის** რაიგაზეთი „**კომუნისტური შრომა**". მკითხველი ეცნობა რაიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა, ინტელიგენტიელური შრომის ადამიანთა წერილებს. აქვეა ალექსანდრიოს ვ. კუპრაძის, პროფესორების დ. მგელაძისა და მ. კვირკელიას წერილები.

ყვარლის რაიგაზეთის გზის დამლოცველთა შორის არიან შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი და საქართველოს სახალხო პოეტი გ. ლეონიძე.

გაგრისა და **ლანჩხუთის** რაიონული გაზეთები თავიანთ პირველ ნომრებში აქვეყნებენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნების ა. ქითინავასა და დ. საბაშვილის წერილებს რაიკომის მებრძოლი თანაშემწეების გამოსვლასთან დაკავშირებით, ხოლო **სარჩერის** რაიგაზეთი — პარტიის რაიკომის პირველი მდივნის მ. ბერგეაძის სტატიას კომუნისტების აქტივობისა და ინიციატივის ამაღლებაზე.

გაზეთები აშუქებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხებს, სამრეწველო საწარმოთა მიერ გეგმების შესრულებას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას, ათავსებენ რაიონის ქრონიკას და სხვ.

მკითხველი დასვენებისას ინტერესით წაიკითხავს გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ფელეტონებს, იუმორს, „მინდა ვიცოდე ყველაფერს", „ცნობისმოყვარეთა კუთხეს", სპორტს, ლექსებს. გაზეთების პირველ ნომრებში ბევრი კარგი ფოტოსურათია.

კარგი დასაწყისი ბევრ რამეს ნიშნავს, მრავალთათვისაა მკითხველის სურვილია მათი გაზეთების შემდგომი ნომრები უკეთესი ენახოს.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

უწერის გასაჭირი

„კომუნისტის" 5 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილის „უწერის გასაჭირი" გამო საქართველოს პროფკავშირთა კურორტების რესპუბლიკური საბჭო გვაცნობებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ უწერის პანსიონატში ავადმყოფთა უკეთ მომსახურებისა და პრაქტიკული დახმარების მიზნით მიავლინა ექიმი.

საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის დროს დაზიანებული მინერალური წყლის ცენტრალური მაგისტრალი უკვე აღდგენილია და ავადმყოფები სამკურნალო აბაზანებს ნორმალურად იღებენ. 6 ივნისისათვის დამთავრდა სუბაკვალური აბაზანების მოწყობილობის დამონტაჟება.

მოუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, უწერის ტერიტორიაზე ელექტროქვესადგურის დამონტაჟება ნელი ტემპით მიმდინარეობს იმის გამო, რომ ორ არა გვაქვს მაღალი ძაბვის აპარატურა. ვთხოვეთ საქმიანავრენერგოს, რომლის მმართველის მოადგილე ამხ. ბოკუჩავა გვპირდებინებს, მიღებულია საჭირო ზომები მაღალი ძაბვის აპარატურის გამოსაყოფად და დასამონტაჟებლად.

საქართველოს გზატკეცილების მთავარ სამმართველოს მიმდინარე წელს გათვალისწინებული აქვს გზების კაპიტალური შეკეთება მოასფალტებით. ქალაქ ონიდან უწერამდე გზის სამი კილომეტრი უკვე შეკეთებული და მოასფალტებულია.

კურორტ უწერაში უკვე მუშაობს კულტორგანიზატორი, რომელიც აწყობს თემატურ საღამოებს, ზეპირ ეურნალებს და სხვადასხვა კულტმასობრივ ღონისძიებებს, იკითხება ლექციები.

1966 წლის სეზონისათვის გათვალისწინებულია კურორტ უწერის კეთილმოწყობა და სამკურნალო კაბინეტების გაფართოება.

ამავე წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ ონის რაიკომის მდივანი გ. ამაიშვილი გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი შემოწმებით ძირითადად დადასტურდა.

საქართველოს კპ ონის რაიკომის ბიუროს განიხილა კურორტ უწერის მუშაობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი. მიღებულია ზომები კურორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კლუბი — კულტურის ჯერა

მშრომელთა იდეური აღზრდის, მათი კულტურის დონის ამაღლებაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასოფლო კულტურის სახლები, კლუბები, რომელთა ქსელი ყოველწლიურად იზრდება. ჩვენი რესპუბლიკის სარტო კულტურის სამინისტროს სისტემაში 1497 კულტურის სახლი და სასოფლო კლუბია.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა სოფლის საკლუბო დაწესებულებების მუშაობის დონე, გაუმჯობესდა მათი მატერიალური ბაზა. ბევრი მათგანი ნამდვილად გახდა პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენი ბაზები მშრომელთა შორის საგიგანტიო-პროპაგანდისტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი კულტურის სახლი და სასოფლო კლუბი, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ.

კასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო კულტურის სახლი მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილია. მის მუშაობაში მთავარია კონკრეტული მონაწილეობა თავისი კოლმეურნეობის ეკონომიკის ამაღლებაში. კულტურის სახლთან მოწყობილია მოწინავეთა გამოქცდილების გაზიარების ადგილი. გამოფენილია საოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, აქვეა ეკონომიკური ბიბლიოთეკა, ფილმოთეკა, ინფორმაციული სტენდი, ფოტოსტენდი, ფოტოგაზეთი, ფოტოგალერეა, ფოტოსურათები, ფოტოალბომ

საერთაშორისო ცხოვრება

მალავის პრემიერ-მინისტრის პრეს-კონფერენცია

ბლანტაირი, 6 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ერთი წლის დამოუკიდებელი არსებობის მანძილზე ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ, განაცხადა დღეს მალავის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ბანდამ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მალავის დამოუკიდებლობის პირველ წლისთავს. კერძოდ, მალავიში შეიქმნა ურთიერთდახმარების ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობენ გზების, ხიდების, სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში. ჩვენ შევქმენით პიონერული ორგანიზაცია, თქვა შემდეგ პრემიერ-მინისტრმა, რომლის წევრები მიწას ამუშავებენ და კარგ მოსავალს იწვენენ. ამასთან დაკავშირებით ჰ. ბანდამ აღნიშნა, რომ მალავის ამბები დაამახინჯა ინგლისისა და ამერიკის პრესამ, რომლებმაც სავსებით უგულებელყვეს მალავის წარმატებანი.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მალავი იბრძვის კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს ჰესტინგს ბანდამ, რომელიც შეეხო მოზამბიკთან ურთიერთობის საკითხებს, განაცხადა, რომ მალავი არ შეასრულებს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის არცერთ რეზოლუციას, რომელიც კი შეეხება პორტუგალიის კოლონია მოზამბიკს. ვინაიდან ეს იქნებოდა „მალავის ეკონომიკის კრახი და, საბოლოო ანგარიშით მალავის პოლიტიკური კრახი".

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ სწავლობს მალავის რესპუბლიკად გამოცხადების საკითხს, მაგრამ ამის კონკრეტული ვადა არ დაუსახელებია.

ზეიმი მალავიში

ბლანტაირი, 6 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ლ. სოლიაკოვი** იტყობინებს:

ცენტრალური აფრიკის სახელმწიფო მალავი დღეს ზეიმობს თავისი დამოუკიდებლობის წლისთავს.

ამ ქვეყნის საქმიან და უდიდეს ქალაქ ბლანტაირში ზეიმი დაიწყო ქალაქის სტადიონზე. ადგილობრივმა პიონერებმა შეასრულეს მასობრივი ვარჯიშები, ხოლო მალავის ჯარების პირველმა ბატალიონმა წარმოადგინა ომის იმიტაცია, სტადიონზე იყვნენ მალავის პრემიერ-მინისტრი ჰ. ბანდა, მთავრობის წევრები ბლანტაირის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ზეიმის პროგრამაში შედის: ხალხური ცეკვები, პარლამენტის საზეიმო სხდომა, პრემიერ-მინისტრის პრეს-კონფერენცია.

ზეიმის გამო მთავრობამ ამნისტია გამოაცხადა. ამნისტიით გათავისუფლებულია 1.500-ზე მეტი კაცი.

ჯარების შაკან დაწევა გრძელდება

დელი, 7 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის ჯარების შაკან დაწევა ყაჩის რაწში წარმოებს შემუშავებული გეგმის შესაბამისად, განაცხადა გუშინ აქ ინდოეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. პაკისტანის ჯარებიც შაკან იწყვეს თავიანთი კოზიციებიდან ამ რაიონში, აღნიშნა მან.

კვლავ დაარღვიეს ჟენევის შეთანხმებანი

კანი. 6 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა რამდენიმე ჯგუფი გუშინ შეიჭრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში და დაბომბა ნინ-ბინის, ოხან-ჰოის მნგეე-ანის, ჰატინის, კუანგ-ბინის პროვინციებისა და ვინ-ლინის რაიონის ბეგრი დასახლებული პუნქტი და სამრეწველო ობიექტი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 4 ივლისს ამერიკის ხომალდებმა და მათი მარიონეტების ხომალდებმა დაარღვიეს დემილიტარიზებული ზონის წყლის სივრცე და ცეცხლი დაუშინეს ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპირო რაიონებს.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ წერილი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საერთაშორისო საერთაშორისო კომისიას, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიის ხელყოფის ეს აქტები ჟენევის შეთანხმებათა და საერთაშორისო სამართლის დარღვევაა და საშიშ მდგომარეობას ქმნის ინდოჩინეთსა და საბრჭეთ აღმოსავლეთ აზიაში.

კავშირის მისია გადაჭრით მოითხოვს, რომ შეწყვიტონ ყველა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ზუსტად დაიცვან ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

ჰიტლერის კვალზე

ნიუ-იორკი, 6 ივლისი. (საკდესი). საბრეთ ვიეტნამის პრემიერ-მინისტრმა მაო ძალა ბგუენ კაო კიკ დღეს განაცხადა, რომ მიმდინარეობს მზადება „ჩრდილოეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის". ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი.

ამასთან დაკავშირებით საკდესის კომენტატორი **ვ. ფეოდოროვი** წერს:

სამხრეთ ვიეტნამელი გენერლები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ თავიანთ დამარცხებებს ბრძოლის ველზე. ახალი, მეცხრე მარიონეტი პრემიერი, „მარშალი" ნგუენ კაო კი, რომელიც დასავლეთის ჟურნალისტთა შორის დიდად ორიგინალური პიროვნების სახელი დაიმკვიდრა, სულ ახალ-ახალ სენსაციურ განცხადებებს აკეთებს. სულ რამდენიმე დღის წინათ მან გააოცა და შეაცბუნა კიდევაც თავისი ოკეანელგადაღილი მფარველები. განცხადებით, რომ მისი საყვარელი გმირი და მისაბაძი მაგალითი ჰიტლერია. დღეს კი ახლად მოვლენილი „ფიურერი" უკვე აშკარად დაადგა თავისი საყვარელი გმირის მოლიპულ და უსასრულო გზას — განაცხადა, რომ გახზრავალი აქვს დაიწყოს „დრანგ ნახ ნორდენ". — „ჩრდილოეთის ლაშქრობა".

რა უნდა ითქვას „მარშალ" კის ამ საომარი განცხადების გამო, რომელიც სულ არ შეესაბამება მარიონეტული ჯარებისა და მათი ამერიკელი მოკავშირეების გაბუსუფეტელ სამხედრო დამარცხებებს, როცა საბრეთ ვიეტნამის ტერიტორიის ორი მესამედი ამ ქვეყნის პატრიოტული ძალების კონტროლს ექვემდებარება?

მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: სამხრეთვიეტნამელი ვაი-მეომრების ასეთი დეკლარაციები მხოლოდ იმას მოწმობენ, რომ მარიონეტულ მთავრობას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს სამხრეთვიეტნამის მოსახლეობის პატრიოტულ მოძრაობას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორება

ვაშინგტონი. 7 ივლისი. (საკდესი). 68 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ ამერიკის სენატმა გუშინ მიიღო კონსტიტუციის შესწორება, რომელიც აწესებს ღონისძიებებს იმ შემთხვევისათვის, თუ პრეზიდენტს ავადმყოფობის ან სხვა ობიექტის მიზეზად არ ადგილი ეუფლი შეასრულოს თავისი ფუნქციები. ამ შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი ხდება „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი". ძალაუფლება ვიცე-პრეზიდენტს გადაეცემა აგრეთვე, თუ ავადმყოფმა პრეზიდენტმა საკუთარი სურვილით აცნობა კონგრესს, რომ არ შეუძლია შეასრულოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობანი. ვიცე-პრეზიდენტი „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად" დარჩება, სანამ პრეზიდენტი არ აცნობებს კონგრესს, რომ შეუძლია განახლოს თავის მოვალეობათა შესრულება.

მიღებული შესწორების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვიცე-პრეზიდენტის ადგილი ვაკანტური აღმოჩნდა, პრეზიდენტს შეუძლია დასახელოს კანდიდატურა ამ თანამდებობაზე და ეს კანდიდატურა უნდა დამტკიცდეს კონგრესის ორივე პალატის ხმის უმრავლესობით. ეს შესწორება გასულ კვირაში მოიწონა კონგრესმა. "წარმომადგენელთა პალატამ. კონსტიტუციის ჩაწერილ რომ გახდეს, ახლა შესწორება უნდა დაამტკიცოს ამერიკის შტატების სამი მეოთხედის საკანონმდებლო კრებებმა, თუ ასე მოხდა, ეს იქნება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის სპეციალური 25-ე შესწორება. პრესა გამოთქვამს აზრს, რომ რატიფიკაცია დამთავრდება არაუადრეს 1967 წლისა.

ეხმარებიან მარიონეტს

ლონდონი, 7 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს ახალი ზელანდიის თავდაცვის მინისტრის დ. ეირის განცხადებას და იტყობინება, რომ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ბიენ-ჰოას ავიაბაზაში (32 კილომეტრზე საიგონის ჩრდილო-დასავლეთით) ჩამოვიდა ახალი ზელანდიის საარტილერიო ბატარეის მოწინავე რაზმი.

ბრძოლა გრძელდება

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. (საკდესი). სხვადასხვა სარწმუნოების ასამდე სამხრეთკორეელი მღვდელი გამოვიდა გუშინ იაპონიასამხრეთ კორეის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

გუშინვე, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტო იუწყება, ენსეის უნივერსიტეტის 200 სტუდენტი განაგრძობდა ხელოსნურის შეგროვების კამპანიას. ხელს აწერენ მოწოდებას, რომ ბიიკეი გამოუცხადონ იაპონიის საქონელს. სტუდენტთა მიზანია შეაგროვონ მილიონი ხელმოწერა. იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ერთი დღის შიმშილობა გამოაცხადა გუშინ კენბოკის საშუალო სკოლის 300 მოსწავლემ.

ᲐᲠᲐᲙᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ლონდონი, 7 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ჩუკსეევი** გვატყობინებს:

„მთავრობა ახალია, პოლიტიკა კი ძველი", ასე შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ პოზიცია, რომელიც ახლანდელ ლეიბორისტულ ხელმძღვანელობას უკავია ინგლისის მრეწველობის მთელი რიგი დარგებისა და ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენების ხელფასის საკითხებში.

ინგლისის ეკონომიურ ტერმინოლოგიაში უკვე დამკვიდრდა გამოთქმა „ბიჩინგის ნაჯახი" (ბიჩინგი ინგლისის რკინიგზების სამმართველოს ყოფილი თავმჯდომარეა). სწორედ მას ეკუთვნის გეგმა, რომ დაახოროს ზოგიერთი რკინიგზა, რათა ფოლადის მაგისტრალები გადაიტანოს კომერციულ საწარმოდ, რომელსაც მოგება მოაქვს. მაგრამ ეს მოგება რკინიგზელებს არ ეხება, ვინაიდან ამ ოპერაციის შედეგად ათეულ ათასობით რკინიგზელი უმუშევარი დარჩებოდა. გუშინ რკინიგზელთა ეროვნული პროფკავშირის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც საუტპორტში გაიმართა, მკვეთრად გაკიცხეს ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც ამ დარგში კონსერვატორთა კვალს გაჰყვა. რეზოლუციაში რკინიგზელებმა ერთსულოვნად მოითხოვეს, რომ უარი თქვან რკინიგზების დახურვაზე და შეიმუშაონ ნამდვილად სოციალისტური პოლიტიკა ამ დარგში, მოითხოვეს ინგლისში ტრანსპორტის ერთიანი და კოორდინირებული სისტემის შექმნა.

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲨᲘ

ჰავანა, 7 ივლისი. (საკდესი). სამი დაჭრილი სტუდენტი და ბევრი დაპატიმრებული — ასეთია შედეგი სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციისა, რომელიც პოლიციამ გარეკა. დემონსტრაცია 5 ივლისს გაიმართა ქალაქ გუაიაკილში (ეკვადორი). როგორც პრესა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი კიტოდან იუწყება, ამავე ქალაქში მოეწყო საშუალო სკოლების მოსწავლეთა დიდი დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილეებმა ქვა დაუშინეს სამხედრო ხუნტის წევრის პოლკოვნიკ გილიერმო ფრეილეს სახლს. პოლიციამ მოსწავლეთა წინააღმდეგ გამოიყენა ცეცხლსასროელი იარაღი და ცრემლსადენი გაზის ბომბები. სტუდენტები და მოსწავლეები პროტესტს აცხადებდნენ სამხედრო დიქტატურის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ეკვადორში, აღნიშნავს კორესპონდენტი, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის დიდი აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ სამხედრო ხელისუფლებამ აკრძალეს 9 ივლისისათვის დასახული მშრომელთა დემონსტრაციები. ეკვადორის ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ და დაჯგუფებამ დაგმო ეს გადაწყვეტილება, აგრეთვე პროტესტი განაცხადა. და იმის გამო, რომ დაპატიმრებული არიან პატრიოტული ხუნტის ხელმძღვანელები, მათ შორის სოციალისტი გონსალო ოლეასი და კონსერვატორი აურელიო დვილა კახასი.

ქალაქ გუაიაკილის ქუჩებში პატრულობენ პოლიციისა და ჯარების გაძლიერებული რაზმები. ხელისუფლები ამნაირად ცდილობენ აღკვეთონ ახალი დემონსტრაციები მმართველი სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ.

ᲛᲔᲜᲨᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ვაშინგტონი, 7 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ პრეზიდენტ ჯონსონთან და სახელმწიფო მდივან რასკთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი მენზისი.

თეთრმა სახლმა ჯონსონისა და მენზისის გუშინდელი შეხვედრა დაახასიათა როგორც „კერძო მოლაპარაკება". აქ არავინ არ ეპარება ეჭვი, რომ ამ მოლაპარაკების მთავარი თემა ვიეტნამის ომი იყო. როგორც ცნობილია, ამერიკელი და ავსტრალიელი ჯარისკაცები საიგონის მარიონეტული რეჟიმის ჯარებთან ერთად ცდილობენ გაუსწორდნენ სამხრეთვიეტნამელ პატრიოტებს. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიას უფრო, ვიდრე დასავლეთის რომელიმე ორ სხვა სახელმწიფოს, აკავშირებთ ერთნაირი აგრესიული მისწრაფებანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის აქტიური მონაწილეობა სამხრეთ ვიეტნამის ბიბლიურ ომში აიძულებს მოკავშირეებს უფრო ხშირად ითათბირონ. უკანასკნელ სამ კვირაში ეს მენზისის მეორე ვიზიტია ვაშინგტონში. ამ ცოტა ხნის წინათ აქ ანზიუსის საბჭოს სესიაზე, იყო აგრეთვე ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ზოამზადა მენზისის დღევანდელი შეხვედრა ჯონსონთან.

ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲑᲘ

ლონდონი, 7 ივლისი. (საკდესი). წუხელ, იხელისის პარლამენტის თემთა პალატაში გამართული კენჭისყრის დროს, ლეიბორისტები სამჯერ დამარცხდნენ. ეს მოხდა მაშინ, როცა თემთა პალატაში გაქიანურდა კამათი დამატებითი საფინანსო კანონპროექტის ცალკეული მუხლების გამო. ეს კანონპროექტი მთავრობამ შეიტანა 1965-1966 საფინანსო წლის ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად ბიუჯეტის ზოგიერთი დებულების დასაზუსტებლად. პალატის სხდომათა ნახევრად ცარიელ დარბაზში ოპოზიციამ ისარგებლა ლეიბორისტთა უდადრელობით. რომელთაგან ბევრი შინ წავიდა, და შეიტანა კანონპროექტის შესწორება.

კონსერვატორთა შესწორება ეხებოდა კანონპროექტის ძირითად შინაარსს — კაპიტალის მოგების თუ რა გადასახადი ნანსების შესახებ. ადგილობრივი მეთვალყურენი ერთსულოვნად გამოთქვამენ აზრს, რომ სოფლის მეურნეობის დაფინანსების საკითხებზე ეკონომიური უთანხმოებანი აიხსნება პოლიტიკური ხასიათის ღრმა წინააღმდეგობებით. ბრიუსელში, აღნიშნავენ ისინი, ერთმანეთს შეეჯახა „ევროპის შენებლობის" ორი კონცეფცია: დე გოლის ვარიანტი „სამშობლოთა ევროპის" შექმნისა, რომლებიც დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკას ახორციელებენ, და ევროპის სრული „პოლიტიკური ინტეგრაციის" გეგმები, ევროპისა, რომელსაც ზეეროვნული ორგანოები მართავენ. „იქვსიეულის" ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკურ გაერთიანებას თავგამოდებით იცავს დასავლეთი გერმანია. ძს მონოპოლიებს „საერთო ბაზარში" შემავალ სხვა პარტნიორებთან შედარებით ყველაზე მძლავრი ეკონომიური პოტენციალი აქვთ და „ინტეგრაციის" პროცესში განიმტკიცებენ გაბატონებულ მდგომარეობას, უკან დასწევენ საფრანგეთს. სწორედ ბრიუსელში წარმოებული მოლაპარაკების დროს „ინტეგრაციის" მომხრეებმა მოითხოვეს წინ წასწიონ „მკერე ევროპის" პოლიტიკური გაერთიანება და გააფართოონ ეგრეთწოდებული ევროპის პარლამენტის კომპეტენცია. ე. გოლმა მიიჩნია, რომ ეს აშკარად უპირისპირდება მის გეგმებს და კატეგორიულად უარყო ასეთი მოთხოვნა. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა ის, რომ უარი თქვეს შეეთანხმებინათ ერთიანი ფინანსური პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში, რასაც საფრანგეთი მოითხოვდა. სწორედ ამან გამოიწვია საფრანგეთის ახლანდელი დიდი უკმაყოფილება.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ

ბრიუსელი, 7 ივლისი. (საკდესი). „საერთო ბაზარი" უფწავეს კრიზისს განიცდის. 5 ივლისს საფრანგეთის ექსპერტებმა უარი თქვეს ამ ორგანიზაციის შუდმცი კომისიების მუშაობაში მონაწილეობაზე. გუშინ დილით საფრანგეთმა გაიწვია თავისი წარმომადგენელი „საერთო ბაზრიდან", ხოლო საღამოს ჭამოაქვეყნეს, რომ საფრანგეთი ბოიკოტს უცხადებს ევროპის უკვე სამ ორგანიზაციას — „საერთო ბაზარს", ევრატომსა და ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას.

აქ სერიოზულად მიიჩნიეთ საფრანგეთის მუქარა, რომ „შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიურ და იურიდიულ დასკვნებს" გამოიტანს ბელგიელ ექრაში ნაფიშული მოლაპარაკებიდან — „ექსკლუზივ" ქვეყნების სოფლის მეურნეობის დაფინანსებისა და ევროპის ეკონომიური ინტეგრაციის ბედზე. ეს ბოიკოტი ევროპის ეკონომიურ ინტეგრაციას ეფინა. ამავე დროს ბელგიელ ექსპერტებს ეშინიათ, ეს ბოიკოტი ბელგიის ეკონომიკასაც ეფინა. ამ ბოიკოტ

ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ



ᲬᲔᲠᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ, ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲚ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲛ „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲖᲔ“

მთელ ფილმში სერგო ზაქარიაძეს უუხდება მრისხანე და მკაცრიც იყოს, დაბნეულიც, ალერსიანიც, დაფიქრებულიც. ჩვენ მას ვხედავთ ნაღვლიანი დაფიქრების წუთებშიც, სიხარულით სულიერი აღმავლობის წუთებშიც, დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნაპოვნი შვილის ჯერ კიდევ თბილ ცხედართან უნუგეშო მწუხარების ჟამსაც. და თავისი გმირის ხასიათის ყველა ამ მხარეში სერგო ზაქარიაძე თანაბრად თავისუფლად. გულუხვად გადმოგვიშლის მის ხალხურ ბუნებას, კავშირს მის მასაზრდოებელ მიწასთან. სიკეთესა და სამართლიანობაზე იმ წარმოდგენათა ფრლვევ სიმტკიცესა და სილამაზეს, რომლებიც მის სულშია.

გასაკვირველი როდია, რომ რეჟისორებო ჩხეიძისათვის მახარაშვილის სახე, სერგო ზაქარიაძის ხელოვნება არის ფილმის ცენტრი, აზრი. პოეზია და. თუ გნებავთ, მთავარი შემოქმედებითი პრინციპი.

„ᲠᲔᲪᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ“.

„ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ“ ქართული ფილმია. გიორგი მახარაშვილი ქართველია. მაგრამ გრძნობები, რომლებმაც იგი ფრონტზე მიიყვანა და ხელში ავტომატი ააღებინა, თანაბრად დამახასიათებელი იყო რუსებისთვისაც, უკრაინელებისთვისაც, ყაზახებისთვისაც. ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა ადამიანებისთვისაც. ეს გრძნობებია სამშობლოს სიყვარული, უსაზღვრო რწმენა იმ საქმის სიმართლისა, რომელსაც ისინი იცავენ. ეს არის წმიდა სიძულვილი მტრებისადმი, დამპყრობლებისადმი, ფაშიზმისადმი“.

„ᲡᲝᲕᲔᲗᲘᲡᲙᲐᲘᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲢᲔᲜᲖᲘᲝᲜᲘ

ᲬᲐᲚᲕᲣᲚᲘᲗ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ.

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐ“.

ᲜᲘᲜᲐ ᲟᲘᲑᲘᲜᲘ (ინგლისელი კინოკრიტიკოსი):

„ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲞᲐᲠᲗᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲐᲠᲔᲐ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ. ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲡᲔᲜᲢᲘᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘᲐ“.

ᲘᲐᲜ ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲢᲘ (ჩეხოსლოვაკიის რადიოს კრიტიკოსი):

„ᲣᲧᲝᲤᲜᲐᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲜᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲛᲒᲘᲒᲝᲜᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ „ᲛᲐᲒᲓᲐᲜᲐᲡ ᲚᲘᲠᲯᲐ“, „ᲛᲔ, ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲘᲚᲘᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲘᲚᲐ ᲠᲘᲝᲜᲘ“, „ᲗᲝᲗᲠᲘ ᲤᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ“ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲢᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲤᲝᲠᲩᲠᲝᲜᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲢᲠᲐ ᲡᲐᲠᲗᲕᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲤᲘᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ“ ᲒᲐᲪᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲕᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ. ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲛᲒᲘᲒᲝᲜᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲔᲚᲘᲐᲠᲘᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. ᲡᲔᲠᲒᲝ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔ — ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲥᲢᲝᲠᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ. ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲛᲒᲘᲒᲝᲜᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ ᲡᲣᲠᲗᲐᲛᲐ „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ“ ᲒᲕᲘᲩᲔᲜᲔᲓᲐ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲡᲐᲜᲘᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲬᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲠᲒᲝ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲫᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ“.

ᲘᲐᲜ ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲢᲘ (ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲬᲔᲠᲘ):

„ᲛᲘᲡᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲛᲝᲛᲒᲘᲒᲝᲜᲝ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ. ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲨᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲠᲜᲐᲫᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲢᲠᲐ ᲡᲐᲠᲗᲕᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲕᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ. ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲛᲝᲛᲒᲘᲒᲝᲜᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ,